დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომელთათვის ეს დებულება ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან (სადაზღვევო კომპანიებისათვის – 2024 წლის 1 იანვრიდან).

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის, შესაბამისად, არ გააჩნიათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

2022-2023 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15% შეადგენდა.

ვ) სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და სხვა დანახარჯებს, რომელიც მოიცავს მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, დაკავშირებული აქტივის გაყიდვასთან.

ზ) ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს მათი თვითღირებულებით (ისტორიული ღირებულება), გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი.

კომპანია არამატერიალურ აქტივებს აღრიცხავს მათი თვითღირებულებით (ისტორიული ღირებულება), გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

კომპანია აღრიცხავს ცვეთას წრფივი მეთოდით, მათი სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის მიხედვით:

სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობა

ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	- 5 წელი
კომპიუტერული ტექნიკა	- 5 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	- 5-10 წელი
სხვა ძირითადი საშუალებები	- 5 წელი

ძირითადი საშუალებების შეძენის თვე ცვეთის დარიცხვის მიზნებისთვის აიღება როგორც სრული თვე, ხოლო ძირითადი საშუალებების გასვლის თვე ცვეთის დარიცხვის დროს არ გაითვალისწინება.

ძირითადი საშუალება იცვითება იმ თვიდან, როდესაც ხდება მისი ექსპლუატაციაში გაშვება ან ის მზადაა ექსპლუატაციაში გაშვებისთვის.

შეკეთებასთან ან განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისთანავე და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში, თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

თ) ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივი

ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს-მოდელი მდგომარეობს იმაში, თუ როგორ მართავს კომპანია ფინანსურ აქტივებს, ფულადი ნაკადების დასაგენერირებლად. ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს-მოდელი განსაზღვრავს, როგორ ხდება ფულადი ნაკადების შემოდინება, იქნება ეს სახელშეკრულებო პირობების მიხედვით, ფინანსური აქტივის გაყიდვით, თუ ორივე ერთად.

სავაჭრო მოთხოვნები, რომლებიც არ მოიცავს მნიშვნელოვან დაფინანსების კომპონენტს (რაც დადგენილია ფასს 15-ის მოთხოვნების შესაბამისად).

ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და შეფასდება ამორტიზირებული ღირებულებით, მაშინ, როცა:

- 1) თუ ეს აქტივი წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც დაკავშირებული იქნება „მხოლოდ ძირის და პროცენტის გადახდებთან“ (SPPI) ნარჩენ ძირ თანხაზე. აღნიშნული შეფასება მოიხსენიება როგორც SPPI ტესტი და ხორციელდება კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტის დონეზე. საპროცენტო ამონაგები გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.
- 2) როცა კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივებს მათგან გამომდინარე ფულადი ნაკადების მიღების მიზნით.

სხვა შემთხვევებში, ფინანსური აქტივი აღირიცხება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება

დებიტორული სავაჭრო დავალიანების გაუფასურება ხდება, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები, რომ კომპანია ვერ შეძლებს შესაბამისი მისაღები მოთხოვნების მიხედვით კუთვნილი თანხის სრულად ან ნაწილობრივ მიღებას.

ისეთი ოპერაციების შედეგად წარმოქმნილ სავაჭრო მოთხოვნებთან ან ან სახელშეკრულებო აქტივებთან დაკავშირებით, რომლებიც ფასს 15-ის მოქმედების სფეროს განეკუთვნება და ამასთან, ფასს 15-ის შესაბამისად არ შეიცავს მნიშვნელოვან დაფინანსების კომპონენტს (ან როდესაც კომპანია იყენებს პრაქტიკული ხასიათის გამარტივებულ მიდგომას ხელშეკრულებებისთვის, რომელთა ხანგრძლივობა ერთი წელი, ან ერთ წელზე ნაკლებია), გაუფასურების ზარალის რეზერვი ყოველთვის ფასდება თანხით, რომელიც არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლია. 1 წლით ან მეტი ვადით გადაუხდელო სავაჭრო მოთხოვნებზე გაუფასურებული ზარალი აღიარდება 100%-ის ოდენობით, ხოლო სხვა სავაჭრო მოთხოვნებზე -5%-დან 50%-მდე, თანხის გადაუხდელობის ხანგრძლივობიდან გამომდინარე.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვში ცვლილებების ოდენობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშებზე.

გაუფასურებული მოთხოვნის ჩამოწერა აისახება არსებული გაუფასურების ზარალის რეზერვის ანგარიშზე.

სესხები და მისაღები ანგარიშები

სესხები და მისაღები ანგარიშები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. აღნიშნული ინსტრუმენტები არ არის განკუთვნილი სასწრაფო ან მოკლევადიანი გადაყიდვისათვის და არ არის კლასიფიცირებული, როგორც სავაჭრო ფასიანი ქაღალდები ან გასაყიდად გამოწვნილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები. აღნიშნული აქტივები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით მოქმედი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგება და ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება სესხებისა და მისაღები ანგარიშების აღიარების შეწყვეტის ან გაუფასურების შემთხვევაში, ასევე ამორტიზაციის პროცესში.

ი) ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ექვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

კ) მოთხოვნები საქმიანობიდან და სხვა მიმდინარე მოთხოვნები

მოთხოვნები წარმოადგენენ ყველა მიმდინარე მოთხოვნებს მიწოდებიდან, წინასწარ გადახდილი გადასახადების და წინასწარ გაწეული ხარჯების გარდა.

სავაჭრო და სხვა დებიტორული მოთხოვნების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომში შეფასებული ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების დანაკარგი. დებიტორული დავალიანების გაუფასურების დანაკარგი ჩამოყალიბებულია, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები, რომ კომპანია ვერ შეძლებს ყველა თანხის შეგროვებას მისაღები მოთხოვნების მიხედვით.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილებების ოდენობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშებზე. ნებისმიერი მოთხოვნის ჩამოწერის ასახვა ხდება არსებული საექვო მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. ყველა სავაჭრო მოთხოვნა, პირდაპირ ჩამოიწერება და აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალში.

ლ) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი კლასიფიცირდება როგორც საკუთარი კაპიტალი.

მ) აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივი შეფასდება ყოველ ანგარიშგების დღეს იმ მიზნით, რომ განისაზღვროს არსებობს თუ არა მისი გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. ფინანსური აქტივი ჩაითვლება გაუფასურებულად იმ შემთხვევაში, თუ ობიექტური მტკიცებულებით ნაჩვენებია აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდგომ ზარალის შემთხვევა, რაც შესაძლებელია უარყოფითად აისახოს აღნიშნული აქტივის სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებაში, რაც ფასდება საიმედოდ.

ნ) ხარჯების აღიარება

კომპანია გასწევს ხარჯებს საქმის წარმოებაზე თავის საოპერაციო საქმიანობის პროცესში, ასევე აქვს სხვა ხარჯები, რაც არ უკავშირდება მის ძირითად საქმიანობას.

შპს „Skinest Rail Georgia“

განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და შემოსავლების შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით. თუკი ეკონომიკური სარგებლის წარმოშობა მოსალოდნელია რამდენიმე საანგარიშო პერიოდის მანძილზე და კავშირი შემოსავალთან შეიძლება მოიძებნოს მთლიანად ან ნაწილობრივ, მაშინ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხარჯის აღიარება მოხდება რაციონალური გადანაწილების მეთოდით. ხარჯის აღიარება ხდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დაუყოვნებლივ, თუ ხარჯი აღარ ქმნის მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან როცა მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ შეესაბამება ან აღარ შეესაბამება ბალანსში აქტივად აღიარების მოთხოვნებს.

ო) იჯარა

2015 წლის იანვარში, ბასს-მა გამოუშვა ფასს (IFRS) 16 „იჯარა“, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. კომპანიამ აღნიშნული სტანდარტის გამოყენება დაიწყო 2019 წლის 1 იანვრიდან მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომით. ფასს 16-ის მოთხოვნის შესაბამისად მოიჯარე აღიარებს აქტივის „გამოყენების უფლებას“ და შესაბამის ფინანსურ ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. აქტივის ამორტიზება მოხდება იჯარის ვადის განმავლობაში და ფინანსური ვალდებულება შეფასდება ამორტიზებული ღირებულებით. მოიჯარე ყველა აღიარებული იჯარისთვის იყენებს ერთიან მოდელს, თუმცა უფლება აქვთ არ აღიარონ „მოკლევადიანი“ იჯარები და იჯარები „დაბალი ღირებულების მქონე“ აქტივებით. მეიჯარის აღრიცხვა არსებითად იგივე რჩება, რასაც ბასს 17 ითვალისწინებს.

პ) ახალი და გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

შემდეგი ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები შევიდა ძალაში 2023 წლის 1 იანვრიდან:

ფასს 17 - „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ - (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვარს, ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის,)

შესწორებები ფასს 17-სთვის და შესწორება ფასს 4-სთვის (გამოცემულია 2020 წლის 25 ივნისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ წლიური პერიოდებისთვის).

გადასვლის ოფციონი მზღვეველებისთვის, რომლებიც იყენებენ ფასს 17-ს – ცვლილებები ფასს 17-ში (გამოცემულია 2021 წლის 9 დეკემბერს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ბასს 1-ში და ფასს-ის პრაქტიკულ დებულება 2-ში შეტანილი ცვლილებები: სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებზე). ბასს 1-ში შეტანილია ცვლილებები, რათა კომპანიებს მოეთხოვოთ განმარტონ თავიანთი არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია და არა მათი მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა. შესწორებით გათვალისწინებული იქნა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის განსაზღვრება. შესწორებით ასევე განმარტეს, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია, სავარაუდოდ, არსებითი იქნება, თუ მის გარეშე, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს არ შეეძლებათ გაეცნონ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ სხვა არსებით ინფორმაციას. შესწორებამ წარმოადგინა სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები, რომლებიც, სავარაუდოდ, არსებითად ჩაითვლება საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისათვის. გარდა ამისა, ბასს 1-ში შესწორებით დაზუსტდა, რომ არაარსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება საჭირო არ არის. ამასთან, თუ იგი გამჟღავნდა, ეს არ უნდა ფარავდეს არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ. ამ შესწორების მხარდასაჭერად, ფასს-ის პრაქტიკული დებულება 2, „არსებითობის განსჯის განხორციელება“ ასევე შეიცვალა, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო სახელმძღვანელო მითითებები, თუ როგორ უნდა გამოყენებულიყო არსებითობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნებისას. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ბასს 8-ში შესწორებები: სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ბასს 8-ის დამატებითმა შესწორებამ განმარტა, თუ როგორ უნდა განასხვავონ კომპანიებმა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებისაგან. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

გადავადებული გადასახადი დაკავშირებული აქტივებსა და ვალდებულებებთან რომლებიც წარმოიქმნება ერთი ოპერაციისგან - ბასს 12-ის შესწორებები (გამოცემულია 2021 წლის 7 მაისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ბასს 12-ის შესწორებები განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა მოხდეს გადავადებული გადასახადის აღრიცხვა გარიგებებზე, როგორებიცაა იჯარები და ექსპლუატაციიდან ამოღების ვალდებულებები. განსაზღვრულ გარემოებებში, საწარმო თავისუფლდება გადავადებული გადასახადის აღიარებისგან, როდესაც ის პირველად აღიარებს აქტივებს ან ვალდებულებებს. უწინ, იყო გაურკვევლობა იმის თაობაზე, თავისუფლდებოდა თუ არა ისეთ გარიგებები, როგორებიცაა იჯარები და ექსპლუატაციიდან ამოღების ვალდებულებები - გარიგებები, რომელთათვისაც აღიარებულია როგორც აქტივი, ისე ვალდებულება. ცვლილებების თანახმად, გათავისუფლება არ ვრცელდება და სუბიექტები ვალდებულნი არიან აღიარონ

გადავადებული გადასახადი ასეთ გარიგებებზე. ცვლილებების თანახმად, კომპანიები ვალდებულნი არიან აღიარონ გადავადებული გადასახადი გარიგებებზე, რომლებიც თავდაპირველი აღიარებისას წარმოშობენ დასაბეგრი და გამოსაქვითი დროებითი სხვაობების თანაბარ რაოდენობას. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2024 წლის 1 იანვარს ან შემდეგომ პერიოდებში და რომლებიც კომპანიას ნაადრევად არ გამოუყენებია, არის შემდეგი:

- *შესწორებები ფასს-16-ში: იჯარა: იჯარის ვალდებულება გაყიდვასა და უკუიჯარაში (გამოცემულია 2022 წლის 22 სექტემბერს და ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის);*

- *ვალდებულებები გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიკაცია, ბასს 1-ის შესწორებები (თავდაპირველად გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს და შემდგომში შესწორებულია 2020 წლის 15 ივლისს და 2022 წლის 31 ოქტომბერს, საბოლოოდ ძალაში შედის წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ);*

- *ბასს 7-ის „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ და ფასს 7-ის „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“ შესწორებები: მიმწოდებლის საფინანსო შეთანხმებები (გამოცემულია 2023 წლის 25 მაისს და ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის);*

- *შესწორებები ბასს 21-ში, ვალუტის გაცვლის შესაძლებლობის ნაკლებობა (გამოცემულია 2023 წლის 15 აგვისტოს და ძალაშია 2025 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის);*

- *ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს, ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვა, ან შეტანა - ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს და ძალაში შესვლის თარიღი არ არის ცნობილი).*

მოსალოდნელი არ არის, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს ჩვენი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31.12.2023		31.12.2022	
	GEL	EUR	GEL	EUR
მიმდინარე საბანკო ანგარიშები	837,725	281,560	4,084,934	1,416,216
	837,725	281,560	4,084,934	1,416,216
	31.12.2023		31.12.2022	
	GEL	EUR	GEL	EUR
საბანკო გარანტია	3,238,751	1,088,546	404,098	140,098
	3,238,751	1,088,546	404,098	140,098

კომპანიას ანგარიშები გახსნილი აქვს საქართველოს ერთ კომერციულ ბანკში - სს „თიბისი ბანკი“.

6. მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან

	31.12.2023		31.12.2022	
	GEL	EUR	GEL	EUR
ადგილობრივი დამკვეთები	274,988	92,424	950,489	329,528
არარეზიდენტი დამკვეთები	3,528	1,186	4,101	1,422
საექვო მოთხოვნების კორექტირება	(304,053)	(102,192)	(207,343)	(71,884)
წყვეტილი პრეტენზიები	150,141	50,463	153,089	53,075
	124,605	41,880	900,335	312,140

კომპანიის მთავარ დამკვეთს წარმოადგენდა სს „საქართველოს რკინიგზა“, რომლის დაკვეთით კომპანია ახორციელებდა რკინიგზის ნაწილების იმპორტს და მათ შემდგომ რეალიზაციას. 2019 წლიდან კომპანიამ დაიწყო ვაგონ-ცისტერნების შესყიდვა და მათი შემდგომი რეალიზაცია როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

2020 წელს კომპანიამ დადო ხელშეკრულება საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასთან ავტოტრანსფორმატორების მიწოდებაზე. 2021 წელს კომპანიამ საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას მიაწოდა 3 ცალი ავტოტრანსფორმატორი.

7. მარაგები

	31.12.2023		31.12.2022	
	GEL	EUR	GEL	EUR
გასაყიდად გამიზნული საქონელი	16,007	5,380	521,553	180,819
სხვა მარაგები	724	243	1,677	581
	16,731	5,623	523,230	181,400

შპს „Skinest Rail Georgia“

განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

მარაგების ანარიცხის მოძრაობა	31.12.2023		31.12.2022	
	GEL	EUR	GEL	EUR
ანარიცხის საწყისი ნაშთი	(17,500)	(5,882)	(11,561)	(4,008)
ანარიცხის მოძრაობა	(14,206)	(4,775)	(5,939)	(2,059)
ანარიცხის საბოლოო ნაშთი	(31,706)	(10,656)	(17,500)	(6,067)

8. გაცემული სესხები

	31.12.2023		31.12.2022	
	GEL	EUR	GEL	EUR
გაცემული გრძელვადიანი სესხები	5,609,871	1,885,481	5,445,728	1,887,993
მისაღები პროცენტები	171,338	57,587	-	-
	5,781,208	1,943,067	5,445,728	1,887,993

კომპანიამ 2020 წელს გასცა გრძელვადიანი სესხები შპს ჰიდროდეველოპმენტ კომპანიზე 1,000,000 აშშ დოლარი და 1,000,000 ევროს ოდენობით. სესხის ვადა 5 წელი, სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთი 12%.

9. ავანსები

	31.12.2023		31.12.2022	
	GEL	EUR	GEL	EUR
გაცემული ავანსები რეზიდენტ კომპანიებზე	3,533	1,187	3,143	1,089
გაცემული ავანსები არარეზიდენტ კომპანიებზე	905,105	304,206	574,803	199,280
	908,638	305,394	577,945	200,369

10. გადასახადები

	31.12.2023		31.12.2022	
	GEL	EUR	GEL	EUR
საანგარიშგებო თარიღის შემდგომ დადგენილებული ან დასადგენი გადასახადები	(11,158)	(3,750)	69,015	23,927
საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ჩასათვლელი აქტივები	12,015	4,038	(16,446)	(5,702)
ერთიანი საგადასახადო ბარათი	20,694	6,955	479,135	166,113
	21,551	7,243	531,705	184,338

11. სხვა მიმდინარე აქტივები

სხვა მიმდინარე აქტივების ძირითადი ნაწილი შედგება წინასწარ გაწეული ხარჯებისგან, კერძოდ თბომავლების რემონტისთვის გაწეული ხარჯისგან.

12. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

	სატრანსპორტო საშუალებები		ოფისის აღჭურვილობა		კომპიუტერული ტექნიკა და კომუნიკაციის საშუალებები		არამატერიალური აქტივები		სულ	
	GEL	EUR	GEL	EUR	GEL	EUR	GEL	EUR	GEL	EUR
ისტორიული ღირებულება										
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	193,091	55,915	13,214	4,280	18,716	6,139	3,864	1,258	228,885	67,500
დამატება (გასვლა)	-	-	-	-	6,603	2,219	-	-	6,603	2,219
სულ ისტორიული ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	193,091	55,915	12,638	4,086	19,685	6,465	3,864	1,258	229,277	67,631
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება										
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	26,704	12,789	11,601	3,740	14,591	4,830	3,674	1,152	56,570	24,944
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი ჩამოწერა	15,499	5,209	528	177	2,405	808	174	59	18,606	6,451
	-	-	(576)	(194)	(4,266)	(1,434)	-	-	(4,842)	(1,679)
სულ აკუმულირებული ცვეთა ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	42,203	17,998	11,553	3,724	12,730	4,205	3,849	1,210	70,334	29,716
ნარჩენი ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	150,888	37,917	1,085	362	6,955	2,260	15	48	158,942	53,421
	სატრანსპორტო საშუალებები		ოფისის აღჭურვილობა		კომპიუტერული ტექნიკა და კომუნიკაციის საშუალებები		არამატერიალური აქტივები		სულ	
	GEL	EUR	GEL	EUR	GEL	EUR	GEL	EUR	GEL	EUR
ისტორიული ღირებულება										
ნაშთი 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	193,091	55,915	12,281	3,956	17,275	5,640	3,864	1,258	226,511	66,677
დამატება (გასვლა)	-	-	933	323	1,441	499	-	-	2,373	823
სულ ისტორიული ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	193,091	55,915	13,214	4,280	18,716	6,139	3,864	1,258	228,885	67,500
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება										
ნაშთი 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	11,205	7,415	11,052	3,550	12,901	4,244	3,394	1,055	38,553	18,698
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	15,499	5,373	549	190	1,689	586	280	97	18,018	6,247
სულ აკუმულირებული ცვეთა ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	26,704	12,789	11,601	3,740	14,591	4,830	3,674	1,152	56,570	24,944
ნარჩენი ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	166,387	43,126	1,613	539	4,125	1,309	189	107	172,314	59,740

13. სხვა გრძელვადიანი აქტივები

სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასთან 2020 წელს გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად შემსყიდველი უფლებამოსილია მიწოდებულ საქონელზე საგარანტიო ვადის დასრულებამდე შეაჩეროს საბოლოო ანგარიშსწორება - სახელშეკრულებო ღირებულების 0,5%-ის ოდენობით ყოველ საგარანტიო წელზე, მიმწოდებლის მიერ საგარანტიო ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შესრულების დღემდე, მაგრამ არაუმეტეს 8 (რვა) წლისა.

სხვა გრძელვადიანი აქტივი წარმოადგენს სავაჭრო მოთხოვნებს, რომელიც ზემოთაღნიშნული პირობის მიხედვით დასაფარია მომდევნო 12 თვიანი პერიოდის შემდეგ.

14. ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან

	31.12.2023		31.12.2022	
	GEL	EUR	GEL	EUR
ადგილობრივი მომწოდებლები	20,314	6,827	8,762	3,038
არარეზიდენტი მომწოდებლები	2,805	943	359,389	124,598
	23,118	7,770	368,152	127,635

15. საწესდებო კაპიტალი

2023 წლის 31 დეკემბერს კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 2,510 ლარს (1,000 ევრო), რომელიც ფულადი ფორმით შევსებულია დამფუძნებლის მიერ. კომპანიას არ მოუხდენია საწესდებო კაპიტალის გაზრდა ან შემცირება დაარსების მომენტიდან.

16. ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

	2023		2022	
	GEL	EUR	GEL	EUR
სარკინიგზო ნაწილების მიწოდება	1,822,373	641,319	11,432,110	3,712,689
DZINTARS-ის პროდუქციის მიწოდება	90,207	31,745	83,490	27,114
	1,912,581	673,065	11,515,601	3,739,803

17. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

	2023		2022	
	GEL	EUR	GEL	EUR
სარკინიგზო ნაწილები	(1,517,286)	(533,955)	(9,169,109)	(2,977,757)
DZINTARS-ის პროდუქცია	(126,172)	(44,402)	(38,328)	(12,447)
	(1,643,459)	(578,357)	(9,207,437)	(2,990,204)

18. გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები

	2023		2022	
	GEL	EUR	GEL	EUR
ტვირთის ტრანსპორტირების ხარჯები	(2,700)	(950)	(29,251)	(9,499)
შრომის ანაზღაურება	(177,168)	(62,348)	(95,228)	(30,926)
სხვა მიწოდების ხარჯები	(214,638)	(75,534)	(106,857)	(34,703)
	(394,506)	(138,832)	(231,336)	(75,129)

19. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2023		2022	
	GEL	EUR	GEL	EUR
ხელფასის ხარჯები	(510,691)	(179,719)	(367,928)	(119,488)
საიჯარო ქირა	(40,449)	(14,235)	(41,306)	(13,414)
კომუნალური გადასახადები	(4,783)	(1,683)	(4,296)	(1,395)
კომუნიკაციის და საინფორმაციო ტექნოლოგიების ხარჯები	(6,372)	(2,242)	(5,968)	(1,938)
დაზღვევის ხარჯები	(10,862)	(3,823)	(11,790)	(3,829)
საწვავის ხარჯები და ავტომანქანის ხარჯები	(7,090)	(2,495)	(6,713)	(2,180)
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	(26,154)	(9,204)	(16,504)	(5,360)
იურიდიული მომსახურების ხარჯები	(4,149)	(1,460)	(795)	(258)
ძს ცვეთა/ამორტიზაცია	(18,606)	(6,548)	(18,018)	(5,851)
გადასახადები	(1,655)	(582)	(1,798)	(584)
საბანკო ხარჯები	(10,876)	(3,827)	(39,221)	(12,737)
მივლინების ხარჯები	(23,529)	(8,280)	(12,951)	(4,206)
ავტომანქანის ხარჯები გარდა საწვავისა	(6,378)	(2,244)	(1,850)	(601)
წარმომადგენლობითი ხარჯები	(16,755)	(5,896)	(7,383)	(2,398)
დებიტორების გაუფასურების რეზერვის ხარჯი	(96,710)	(34,034)	(50,084)	(16,265)
აკრედიტორის და საგარანტიო ხარჯები	(27,652)	(9,731)	(6,376)	(2,071)
საქველმოქმედო ხარჯები	-	-	(495)	(161)
სხვა ხარჯები	(5,839)	(2,055)	(1,660)	(539)
	(818,551)	(288,060)	(595,135)	(193,276)

20. ფინანსური შემოსავლები

	2023		2022	
	GEL	EUR	GEL	EUR
საპროცენტო შემოსავლები_თიბისი ბანკი	68,110	23,969	691,181	224,468
საპროცენტო შემოსავლები_ჰიდრო დეველოპმენტ კომპანი	746,352	262,652	47,609	15,461
	814,462	286,621	738,790	239,929

21. ფინანსური ხარჯები

	2023		2022	
	GEL	EUR	GEL	EUR
საპროცენტო ხარჯები	(2,317)	(815)	(74,974)	(24,349)
	(2,317)	(815)	(74,974)	(24,349)

22. მოგება (ზარალი) საკუროსო სხვაობებიდან

	2023		2023		2023	
	GEL	EUR	GEL	EUR	GEL	EUR
	დადებითი შედეგი		უარყოფითი შედეგი		სულ	
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	144,913	50,997	(145,244)	(51,113)	(330)	(116)
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1,679	591	(613)	(216)	1,067	375
გაცემული სესხები	1,719	605	-	-	1,719	605
მისაღები პროცენტები	-	-	-	-	-	-
სხვა მიმდინარე აქტივები	9	3	-	-	9	3
გაცემული გრძელვადიანი სესხები	91,216	32,100	(14,897)	(5,242)	76,319	26,858
სხვა გრძელვადიანი აქტივები	9,430	3,318	-	-	9,430	3,318
სულ საკუროსო მოგება(ზარალი) აქტივებიდან:	248,967	87,615	(160,753)	(56,571)	88,214	31,044
ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	271	95	(37,651)	(13,250)	(37,379)	(13,154)
გადასახდელი პროცენტები	13	5	-	-	13	5
გადასახდელი სესხები	3,163	1,113	-	-	3,163	1,113
სულ საკუროსო მოგება(ზარალი) ვალდებულებებიდან:	3,447	1,213	(37,651)	(13,250)	(34,203)	(12,037)
სულ	252,415	88,828	(198,404)	(69,821)	54,011	19,007

	2022		2022		2022	
	GEL	EUR	GEL	EUR	GEL	EUR
	დადებითი შედეგი		უარყოფითი შედეგი		სულ	
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	-	(334,828)	(108,739)	(334,828)	(108,739)
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	12,205	3,964	(18,201)	(5,911)	(5,996)	(1,947)
გაცემული სესხები	-	-	(7,193)	(2,336)	(7,193)	(2,336)
მისაღები პროცენტები	-	-	(10,967)	(3,562)	(10,967)	(3,562)
სხვა მიმდინარე აქტივები	-	-	(194)	(63)	(194)	(63)
გაცემული გრძელვადიანი სესხები	20,854	6,772	(1,015,200)	(329,696)	(994,346)	(322,924)
სხვა გრძელვადიანი აქტივები	-	-	(74,989)	(24,353)	(74,989)	(24,353)
სულ საკუროსო მოგება(ზარალი) აქტივებიდან:	33,059	10,736	(1,461,573)	(474,660)	(1,428,514)	(463,924)
ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	7,704	2,502	(1,963)	(637)	5,741	1,865
გადასახდელი პროცენტები	139	45	(12)	(4)	127	41
გადასახდელი სესხები	103,568	33,635	(8,033)	(2,609)	95,535	31,026
სულ საკუროსო მოგება(ზარალი) ვალდებულებებიდან:	111,410	36,182	(10,007)	(3,250)	101,403	32,932
სულ	144,469	46,918	(1,471,579)	(477,910)	(1,327,111)	(430,992)

23. ვალდებულებების მოძრაობის შეჯერება საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილ ფულად ნაკადებთან - სესხები

სასესხო და სხვა ფინანსური ვალდებულება	ვალდებულება 31.12.2022 მდგ		გადახდა ფულადი სახსრებით		დადებითი საკუროსო სხვაობა		ვალდებულების აღება ფულადი სახსრების მიღებით		უარყოფითი საკუროსო სხვაობა		ვალდებულება 31.12.2023 მდგ	
	GEL	EUR	GEL	EUR	GEL	EUR	GEL	EUR	GEL	EUR	GEL	EUR
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულება არასაფინანსო დაწესებულების (იურიდიული პირის) წინაშე	(0)	(0)	(417,476)	(146,916)	3,163	1,027	420,639	148,029	-	-	(0)	(0)
სულ:	(0)	(0)	(417,476)	(146,916)	3,163	1,027	420,639	148,029	-	-	(0)	(0)

შპს „Skinest Rail Georgia“

გამმართველთა კომიტეტის 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

სასესიო და სხვა ფინანსური ვალდებულება	ვალდებულება 31.12.2021 მდე		გადახდა ფულადი სახსრებით		დადებითი საკუროსო სხვაობა		ვალდებულების აღება ფულადი სახსრების მიღებით		უარყოფითი საკუროსო სხვაობა		ვალდებულება 31.12.2022 მდე	
	GEL	EUR	GEL	EUR	GEL	EUR	GEL	EUR	GEL	EUR	GEL	EUR
მოკლევადიანი სასესიო ვალდებულება არასაფინანსო დაწესებულების (იურიდიული პირის) წინაშე	(0)	(0)	(6,000,219)	(1,948,629)	103,568	33,635	6,095,754	1,979,655	(8,033)	(2,609)	(0)	(0)
სულ:	(0)	(0)	(6,000,219)	(1,948,629)	103,568	33,635	6,095,754	1,979,655	(8,033)	(2,609)	(0)	(0)

24. ვალდებულების მოძრაობის შეჯერება საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილ ფულად ნაკადებთან - პროცენტები

საპროცენტო ვალდებულება	ვალდებულება 31.12.2022 მდე		გადახდა		დადებითი საკუროსო სხვაობა		პროცენტის დარიცხვა		უარყოფითი საკუროსო სხვაობა		ვალდებულება 31.12.2023 მდე	
	GEL	EUR	GEL	EUR	GEL	EUR	GEL	EUR	GEL	EUR	GEL	EUR
გადასახდელი პროცენტები იურიდიული პირისთვის	-	-	(2,188)	(770)	13	5	2,201	775	-	-	-	-
სულ:	-	-	(2,188)	(770)	13	5	2,201	775	-	-	-	-

საპროცენტო ვალდებულება	ვალდებულება 31.12.2021 მდე		გადახდა		დადებითი საკუროსო სხვაობა		პროცენტის დარიცხვა		უარყოფითი საკუროსო სხვაობა		ვალდებულება 31.12.2022 მდე	
	GEL	EUR	GEL	EUR	GEL	EUR	GEL	EUR	GEL	EUR	GEL	EUR
გადასახდელი პროცენტები იურიდიული პირისთვის	127,202	36,302	(191,947)	(62,337)	139	45	64,872	21,068	(12)	(4)	0	0
სულ:	127,202	36,302	(191,947)	(62,337)	139	45	64,872	21,068	(12)	(4)	0	0

25. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების წინასწარი გაანგარიშება მიზნად ისახავს სავარაუდო ფასის მიახლოებით განსაზღვრას, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გასაყიდად ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის თანმიმდევრული ტრანზაქციის გზით ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების დღეს. ამასთან, გაურკვევლობის გათვალისწინებით და სუბიექტური განსჯის მეშვეობით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იქნეს ინტერპრეტირებული, როგორც რეალიზებადი აქტივების დაუყოვნებელი ნასყიდობის გზით ან ვალდებულებათა გადაცემის მეშვეობით.

კომპანიამ განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები შეფასებითი ტექნიკის გამოყენებით. შეფასების ტექნიკების მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც უნდა იქნეს მიღებული აქტივის გასაყიდად ან გადახდილი ვალდებულების გადაცემისთვის თანმიმდევრული ტრანზაქციის ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების დღეს. გამოყენებული შეფასებითი ტექნიკა არის დისკონტირებული ფულადი საშუალებების მოძრაობის მოდელი. ყველა ფინანსური აქტივის და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება დაანგარიშდება მომავალში ძირითადი თანხისა და დარიცხული პროცენტების ფულადი საშუალებების მოძრაობის საფუძველზე, რომელთა დისკონტირება ხდება ანგარიშების დღეს პროცენტის საბაზრო განაკვეთით.

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მიახლოებით მათი საბალანსო ღირებულების ტოლია.

26. რისკების მართვა

მმართველობითი სისტემა

კომპანიის რისკისა და ფინანსური მართვის სისტემის მთავარი მიზანია დაცვა ისეთი მოვლენებისგან, რომლებიც აბრკოლებს კომპანიის მიზნების მიღწევას და შესაძლებლობების გამოყენებას. კომპანია აანალიზებს რისკების ეფექტური და ეფექტიანი მართვის სისტემის უდიდეს მნიშვნელობას. დანერგილია პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს კომპანიის რისკზე ორიენტირებულობას, რისკის მართვას, კონტროლსა და საქმიანობის სტანდარტებს.

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობიდან გამომდინარე, კომპანია დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი ;
- ლიკვიდურობის რისკი ;
- საბაზრო რისკი.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა იწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. კომპანია მართავს საკრედიტო რისკის დონეს, რომელზეც იგი პასუხისმგებელია საკრედიტო რისკის საერთო პოლიტიკით, რომელშიც შეფასებული და განსაზღვრულია, რა წარმოადგენს კომპანიისთვის საკრედიტო რისკს, რისკის ლიმიტი თითოეული კონტრაგენტის, გეოგრაფიული მდებარეობისა და საქმიანობის სფეროსთვის, გაქვითვის უფლება, როდესაც კონტრაგენტები ერთდროულად მოვალეები არიან და კრედიტორებიც.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ საწარმოს შეექმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა, მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს კომპანიის ფუნქციონირებაზე. ლიკვიდურობის რისკის წინდახედული მექანიზმი გულისხმობს საკმარისი თანხისა და საკრედიტო რესურსების ქონას, რათა დაკმაყოფილებულ იქნას ბაზრის მოთხოვნები.

საბაზრო რისკი

შპს „Skinest Rail Georgia“

განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას საწარმოს მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი):

საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვალებადი ღირებულებით), რომელსაც ატარებს პროცენტიანი აქტივი, როგორცაა სესხი, მცოცავი საპროცენტო განაკვეთის არსებობის გამო. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება, როდესაც მოცემული ვადიანობის ფაქტობრივი ან მოსალოდნელი აქტივები მეტია ან ნაკლებია იმავე ვადიანობის ფაქტობრივ ან მოსალოდნელ ვალდებულებებზე.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაზე. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

მგრძნობელობის ანალიზი

ლარის შესაძლო გამყარება/შესუსტება, როგორც ეს ქვემოთაა ნაჩვენები, ევროსა და აშშ დოლარის მიმართ 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გავლენას მოახდენს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე და კაპიტალზე და მოგება/ზარალზე გადასახადების შემდეგ ქვემოთ მოცემული თანხების ოდენობით. სავალუტო დინამიკა პირდაპირ გავლენას არ მოახდენს სხვა მთლიან შემოსავალსა თუ კაპიტალზე.

ანალიზის თანახმად ივარაუდება, რომ ყველა სხვა ცვლადები, განსაკუთრებით საპროცენტო განაკვეთები, რჩება უცვლელი და არ ითვალისწინებს პროგნოზული გაყიდვების და შესყიდვების ზემოქმედებას.

შპს „Skinest Rail Georgia“

განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

31.12.2023				
	EUR	USD	RUB	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7,112	705,464	29,062	741,638
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	106,412	-	-	106,412
გაცემული მოკლევადიანი სესხები და მისაღები პროცენტები	89,993	81,345	-	171,338
გაცემული გრძელვადიანი სესხები	2,946,408	2,663,463	-	5,609,871
სხვა მიმდინარე აქტივები	372	-	-	372
აქტივები სულ:	3,150,297	3,450,272	29,062	6,629,631
ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	(2,805)	(18,826)	-	(21,631)
გადასახდელი პროცენტები	-	-	-	-
ვალდებულებები სულ:	(2,805)	(18,826)	-	(21,631)
ნეტო შედეგი	3,147,492	3,431,446	29,062	6,608,000
USD (10% ცვლილება)	343,145			
EUR (10% ცვლილება)	314,749			
RUB (10% ცვლილება)	2,906			

31.12.2022				
	EUR	USD	RUB	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	58,524	528,034	2,429	588,988
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	53,971	10,000	-	63,971
გაცემული მოკლევადიანი სესხები და მისაღები პროცენტები	-	-	-	-
გაცემული გრძელვადიანი სესხები	2,811,522	2,634,205	-	5,445,728
სხვა მიმდინარე აქტივები	-	-	-	-
აქტივები სულ:	2,924,018	3,172,239	2,429	6,098,686
ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	(336,477)	-	(22,912)	(359,389)
გადასახდელი პროცენტები	-	-	-	-
ვალდებულებები სულ:	(336,477)	-	(22,912)	(359,389)
ნეტო შედეგი	2,587,540	3,172,239	(20,483)	5,739,297
USD (10% ცვლილება)	317,224			
EUR (10% ცვლილება)	258,754			
RUB (10% ცვლილება)	(2,048)			

27. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს 24-ის („დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“) მიხედვით, მხარეები ითვლებიან დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან

შპს „Skinest Rail Georgia“

განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. შესაძლო დაკავშირებული მხარეების თითოეული შემთხვევის განხილვისას ყურადღება უნდა მიექცეს არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას, არამედ იმასაც, თუ როგორია მათ შორის ურთიერთობა. დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ განხორციელდეს იმავე პირობებზე და თანხებზე, როგორც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

დაკავშირებულ მხარეთა ტრანზაქციები განხორციელებული ტრანზაქციები პარტიოტან

	2023 წელი		2022 წელი		31.12.2023		31.12.2022	
კრედიტორული დავალიანება	-	-	-	-	2,805	943	327,567	113,565
დებიტორული დავალიანება	-	-	-	-	3,528	1,186	3,420	1,186
შესყიდვები (მარაგები)	900	317	325,622	105,749	-	-	-	-
სხვა შემოსავალი	-	-	3,457	1,123	-	-	-	-
საპროცენტო ხარჯები	(2,201)	(775)	(64,589)	(20,976)	-	-	-	-
სხვა ხარჯები	-	-	(92)	(30)	-	-	-	-
საკურსო სხვაობები	1,633	575	104,199	33,840	-	-	-	-

განხორციელებული ტრანზაქციები ძირითად მენეჯმენტთან

	2023 წელი		2022 წელი		31.12.2023		31.12.2022	
ხელფასები და სხვა სარგებელი	(469,542)	(165,238)	(238,418)	(77,429)	-	-	-	-

ტრანზაქციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან

	2023 წელი		2022 წელი		31.12.2023		31.12.2022	
დებიტორული დავალიანება	-	-	-	-	2,937	987	5,130	1,779
ავანსები	-	-	-	-	653,825	219,751	126,739	43,939
კრედიტორული დავალიანება	-	-	-	-	-	-	31,822	11,033
გაცემული სესხები და მისაღები პროცენტები	-	-	-	-	5,833,083	1,960,502	5,445,728	1,887,993
შესყიდვები (მარაგები)	141,624	49,840	273,000	88,659	-	-	-	-
შემოსავლები	10,799	3,800	313,078	101,675	-	-	-	-
საპროცენტო შემოსავალი	658,528	231,746	3,403,154	1,105,207	-	-	-	-
სხვა ხარჯები	(11,401)	(4,012)	(1,763)	(572)	-	-	-	-
საპროცენტო ხარჯები	-	-	(283)	(92)	-	-	-	-
საკურსო სხვაობები	(33,970)	(11,955)	(1,005,023)	(326,391)	-	-	-	-

28. გაუთვალისწინებელი გარემოებები

სასამართლო დავები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საერთო სასამართლოებში, კომპანიას გააჩნდა 2 სასამართლო დავა, სადაც მოსარჩელე მხარე არის თავად კომპანია:

მოპასუხე - შპს ვაგონტორგ ჯორჯია

მოპასუხე - სს საქართველოს რკინიგზა

სასამართლო დავები ძირითადად უკავშირდება დებიტორული დავალიანების მოთხოვნებს.

ომი რუსეთსა და უკრაინას შორის.

2022 წლის 24 თებერვალს, რუსეთის ჯარებმა გადაკვეთეს უკრაინის საზღვარი. მილიონობით უკრაინელმა დატოვა ქვეყანა და საცხოვრებელი. შედეგად ბევრმა წამყვანმა ქვეყანამ და ეკონომიკურმა გაერთიანებამ რუსეთს მკაცრი ეკონომიკური სანქციები გამოუცხადა.

შპს „Skinest Rail Georgia“

განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

მოვლენები ჯერ კიდევ ვითარდება, თუმცა მას უკვე მოჰყვა ჰუმანიტარული კრიზისი და არსებითი ეკონომიკური ზარალი უკრაინის, რუსეთისა და დანარჩენი მსოფლიოსთვის.

კომპანიის საოპერაციო საქმიანობას აქვს მნიშვნელოვანი პირდაპირი კავშირი უკრაინასთან, რუსეთსა და ბელორუსიასთან. შესაბამისად ომმა გარკვეული გავლენა იქონია შესასყიდი პროდუქციისა და განსაკუთრებით მისი გადაზიდვის ღირებულებაზე, რამაც გამოიწვია გასაყიდი ფასების ზრდა და რაც საბოლოოდ აისახება საბოლოო მომხმარებლის ბიუჯეტზე.

იმის გამო, რომ ომი ჯერ კიდევ მიმდინარეობს, შეუძლებელია საიმედოდ შეფასდეს ის სრული გავლენა, რომელიც ომს შეიძლება ჰქონდეს კომპანიაზე, რადგან გაურკვეველია ომის ზოგად ეკონომიკაზე ზემოქმედების სიდიდეც. მენეჯმენტი ყურადღებით აკვირდება არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობას და მოვლენების განვითარებას.

29. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ისეთ მნიშვნელოვან მოვლენებს, რომლებიც შეიძლება იწვევდეს ფინანსური ანგარიშგების მუხლების შესწორებას ან განმარტებითი შენიშვნების დამატებას, ადგილი არ ჰქონია.

30. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია 2024 წლის 12 მარტს კომპანიის მენეჯმენტის მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეიტანოს დამატებები და ცვლილებები ფინანსური ანგარიშგებაში მისი გამოშვების შემდეგ.